



## ბრძანება N 234

„25“ \_\_\_\_\_ 10 2017 წელი

ქ. თბილისი

გარე დაკვირვების განხორციელებისთვის გაკვეთილის აღწერის ფორმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 56-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „გარე დაკვირვების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის N102/ნ ბრძანებით დამტკიცებული გარე დაკვირვების წესის მე-10 და მე-17 მუხლების და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 29 სექტემბრის N1177421 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

### ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გარე დაკვირვების განხორციელებისთვის გაკვეთილის აღწერის ფორმა დანართის შესაბამისად.
2. გარე დაკვირვების საპილოტე რეჟიმში განხორციელების მიზნით, გარე დამკვირვებელთა ჯგუფის თითოეული წევრი გაკვეთილზე დაკვირვებისას ინდივიდუალურად ავსებს ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გაკვეთილის აღწერის ფორმას. გაკვეთილის აღწერის ფორმა უზრუნველყოფს იმ ფაქტობრივი გარემოებების აღწერას, რაც უკავშირდება მასწავლებლის მიერ გაკვეთილის წარმართვას.
3. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - [tpdc.gov.ge](http://tpdc.gov.ge) განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
4. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6. 0131).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

გარე დაკვირვების განხორციელებისთვის  
გაკვეთილის აღწერის ფორმა

სკოლა: .....

მასწავლებლის სახელი და გვარი: .....

საგანი: .....

თარიღი: .....

გარე დამკვირვებლის სახელი და გვარი: .....

დრო (წთ.)	აქტივობა / სხვა ქმედება	კომენტარი/დაზუსტება

გარე დამკვირვებლის ხელმოწერა: .....